პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-8 წელი

№ 12 (507) კვირა, 10 თებერვალი, 1952 წ. ფასი 30 კაპ.



ამანათრბენში 4×10 კმ. გამარჯვებული „კოლმეურნის" გუნდი. მარცხნიდან მარჯვნივ: ს. ჯეირანაშვილი, ბ. არბოლიშვილი, გ. კვინიკაძე, ა. ჯაფარიძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## საჭადრაკო კომპოზიციას მეტი ყურადღება!

საჭადრაკო კომპოზიცია ჭადრაკის თეორიისა და პრაქტიკის შემადგენელი ნაწილია. ამ უაღრესად საინტერესო და რთულ დარგს მკვეთრად გამოხატული სპეციფიკური თვისებები ახასიათებს და საჭადრაკო ხელოვნების მიმზიდველ სახედ ითვლება. ამავე დროს, თავისი სპეციფიკურობის გამო ეს დარგი ერთგვარად ცალკე ადგილს იკავებს საჭადრაკო აზროვნების ისტორიაში და მას მრავალი მიმდევარი ჰყავს.

საჭადრაკო კომპოზიციას დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი ადამიანს უნერგავს ძვირფას თვისებებს — აჩვევს მას დამოუკიდებელ შემოქმედებით მუშაობას, უმუშავებს და უმტკიცებს ნებისყოფას, დასახული მიზნისაკენ შეუნელებელ ლტოლვას, შეუპოვრობას დაბრკოლებათა გადალახვისას, უნერგავს და ულრმავებს თანმიმდევრულ, გეგმიან, ლოგიკურ აზროვნებას. გარდა ამისა, საჭადრაკო კომპოზიციის ქმნილება, როგორც მაღალმხატვრული ნაწარმოები, ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს არა მარტო მის შემოქმედს, არამედ ყველა იმას, ვინც ეცნობა ამათუიმ ეტიუდსა თუ ამოცანას.

მხოლოდ ის ფაქტი, რომ საჭადრაკო კომპოზიციის ნაწარმოები ადამიანის შემოქმედებითი ძიების ნაყოფია, ნათლად მეტყველებს ამ დარგის დიდ ღირსებაზე.

ჩვენს ქვეყანაში, სადაც ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად დიდი სტალინის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად შექმნილია ყველა პირობა ადამიანის მორალური, კულტურული და ფიზიკური სრულყოფისათვის, საჭადრაკო ხელოვნებამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია.

საბჭოთა საჭადრაკო სკოლა მოწინავედ ითვლება მთელ მსოფლიოში. ჩვენი ქვეყნის მოჭადრაკეებმა სამართლიანად დაიმკვიდრეს უძლიერესთა სახელი და მათი შემოქმედება მისაბაძი გახდა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს, განსაკუთრებით სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მოჭადრაკეებისათვის.

მთელ მსოფლიოში მოწინავეა აგრეთვე საბჭოთა საეტიუდო ხელოვნება. ამ დარგის ფუძემდებლებმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა ა. ტროიცკიმ, ლ. კუბელმა, ძმებმა პლატოვებმა ახალ, დიდ სიმაღლეზე აიყვანეს საერთოდ მსოფლიო საჭადრაკო კომპოზიცია. ამ კლასიკოსთა ტრადიციებზე, მათს შემოქმედებაზე აღიზარდნენ თანამედროვე საჭადრაკო კომპოზიციის ცნობილი ოსტატები ვ. კოროლკოვი, ჰ. კასპარიანი, ზ. ბირნოვი, მ. ლიბურკინი და სხვები, რომლებმაც მრავალი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებში.

საბჭოთა საეტიუდო ხელოვნების შეუნელებელ წინსვლას დიდად უწყობს ხელს ის მრავალრიცხოვანი კონკურსები, რომლებიც ყოველწლიურად იმართება ჩვენს ქვეყანაში.

გასული წლის იანვარში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა და „ლელომ" გამოაცხადეს საკავშირო კონკურსი ეტიუდების შედგენაში, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30 წლისთავს.

კონკურსი მიზნად ისახავდა საჭადრაკო ხელოვნების ამ დარგის განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საეტიუდო ხელოვნებამ საქართველოში ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა პოპულარობა. რესპუბლიკის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები საეტიუდო ხელოვნების დანერგვასა და განვითარებას არავითარ ყურადღებას არ უთმობენ. ისინი არ ზრუნავენ ეტიუდების შედგენისა ან ამოხსნის კონკურსების მოწყობაზე და სხვ. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ფიზკულტურის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტებისა და ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების 1952 წლის სპორტულ კალენდარში არც ერთი სიტყვით არ არის მოხსენებული საჭადრაკო კომპოზიცია.

ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა მტკიცედ უნდა დაიმახსოვრონ, რომ საჭადრაკო კომპოზიცია საჭადრაკო ხელოვნების განუყოფელი ნაწილია და, რომ მას უშუალო დამოკიდებულება აქვს თამაშის ბოლო სტადიის — ენდშპილის ტექნიკასთან. საეტიუდო ხელოვნება ამდიდრებს მოჭადრაკის თეორიულ ცოდნას, კულტურას, ეხმარება მას ვარიანტების გათვლის ტექნიკის დაუფლებაში, დაფაზე შექმნილი რთული სიტუაციის გარკვევაში და სხვ.

საქართველოს ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა ძირფესვიანად უნდა შეიცვალონ თავისი დამოკიდებულება საეტიუდო ხელოვნებისადმი და ბოლო მოუღონ ამ დარგის შეუფასებლობას.

## საბჭოთა სპორტსმენების წარმატება

ჰელსინკი. მუშათა სპორტული საზოგადოება „იურიუს" 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით აქ სტუმრად არის საბჭოთა სპორტსმენების ჯგუფი, რომელშიც შედიან მოკრივეები და შტანგისტები.

2 თებერვალს მესუხალის დარბაზში გაიმართა პირველი ასპარეზობა, მიძღვნილი სპორტსაზოგადოების იუბილესადმი. საბჭოთა სპორტსმენების სახელით „იურიუს" 50 წლისთავი მიულოცა სსრ კავშირის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა ე. გრომადსკიმ.

ამ დღეს შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა მოკრივეებმა მედნოვმა და ტიშინმა, რომლებმაც მოიპოვეს იოლი გამარჯვებები — პირველმა ლაინესთან, მეორემ — კონტულასთან.

3 თებერვალს მესუხალის დარბაზში მრავალრიცხოვანი მაყურებლის დასწრებით ასპარეზობა გრძელდებოდა. კვლავ წარმატებით აღინიშნა საბჭოთა მოკრივეების გამოსვლები: მედნოვმა პირველ რაუნდში დაამარცხა ტაიპალე. სოკოლოვმა ქულებით გაიმარჯვა ხიუტენენთან მატჩში, პეროვმა მწვავე შეხვედრაში აჯობა ფინეთისა და ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს მოკრივეს სილიანდერს.

ამრიგად, ორი დღის შეჯიბრების შემდეგ საბჭოთა და ფინეთის მოკრივეთა შეხვედრების ანგარიშია 5:0 სსრ კავშირის სპორტსმენთა სასარგებლოდ.

ასევე წარმატებით დაგვირგვინდა საბჭოთა შტანგისტების ასპარეზობა ფინელ ძალოსნებთან.

## თოვლიან ბილიკებზე

ბაკურიანი. (ჩვენი სპეც. კორ.). ათი დღე არ უთოვია ბაკურიანში. თხილამურები მარჯვედ სრიალებდნენ კარგა ხნის წინ გავლებულ, დატკეპნილ კვალზე; მაღალ შედეგებს აჩვენებდნენ საწვრთნელი ვარჯიშისას საქართველოს პირველობის მონაწილეები.

4 თებერვალს მოულოდნელად მოიღრუბლა და საღამოს თოვა დაიწყო. თოვდა მთელი ღამე, თოვდა ბარაქიანად. მეორე დილას ბაკურიანი და მისი მიდამოები გადათეთრებული იყო ახალი თოვლით, აღარა ჩანდა არც ნათხილამურევი, არც ნაკვალევი.

...დილის 10 საათია. სპორტული დროშებით მორთული სათხილამურო ბაზის ეზო საზეიმოდ გამოიყურება. სათხილამურო სპორტში საქართველოს სსრ XVII პირად-გუნდური პირველობის მონაწილე კოლექტივები ერთ მწკრივად დგანან.

შეჯიბრება გაიხსნა ამანათრბენით, რომლის ტრასა იწყება საკმაოდ ვრცელ, წიწვიანი ტყით შემორკალულ მინდორზე.

საინტერესო ასპარეზობის სანახავად მრავალრიცხოვან მაყურებელს მოუყრია თავი.

პირველად სტარტზე გამოვიდნენ ვაჟთა ამანათრბენის 4×10 კმ. მონაწილეები. მესტარტის ნიშანი და სპორტსმენები სწრაფად მოწყდნენ ადგილიდან... ქარმაც, თითქოს ამ სიგნალს უცდიდაო, უცბათ წამოუბერა, ერთ წუთში ნათხილამურევი ნამქერმა დაფარა და ისედაც ღრმა კვალი უფრო ძნელად გასავლელი გახდა.

სტარტიდანვე დაწინაურდა „კოლმეურნის" წარმომადგენელი გ. კვინიკაძე, რომელიც ფართე ნაბიჯებით მიარღვევდა თოვლს და სულ უფრო და უფრო წინ უსწრებდა უკანმავალთ.

კვინიკაძემ ყველაზე უფრო სწრაფად გაიარა თავისი ეტაპი. ეტაპის ფინიშთან მეორე იყო ვ. მიქაბერიძე („ისკრა"), მესამე — ვ. კოზანაშვილი („დინამო"). სამი ეტაპის განმავლობაში I ჯგუფის გუნდების განლაგება არ შეცვლილა. „კოლმეურნის" წევრები ა. ჯაფარიძე და ს. ჯეირანაშვილი ლიდერობას ინარჩუნებდნენ და საგრძნობლად მიდიოდნენ წინ.

თითქმის 3 წუთის წასული იყო სტარტიდან ბ. არბოლიშვილი („კოლმეურნე"), როცა სტარტი მიიღო ს. პეტროსიანმა („ისკრა"). პეტროსიანმა პირველი ნაბიჯებიდანვე მეტად მაღალი ტემპი განავითარა. ბ. არბოლიშვილი მინდორზე გამოჩნდა, მას ფეხდაფეხ მისდევდა პეტროსიანი, რომელიც თანდათან ეწეოდა ლიდერს. მე-6 კილომეტრზე პეტროსიანმა გაასწრო არბოლიშვილს და კარგა ხანს ისინი ერთმანეთისაგან 2-3 მეტრის დაშორებით მიდიოდნენ.

ფინიშის ხაზამდე ხუთასიოდე მეტრის მანძილზე ტრასა მთის კალთაზე გადიოდა და 13-16 გრადუსიან აღმართს ქმნიდა. როგორც კი მეტოქეები ამ აღმართს მიუახლოვდნენ, პეტროსიანი მოულოდნელად მოწყდა ადგილს და საოცარი სისწრაფით აირბინა იგი. ეს მან ისე ოსტატურად გააკეთა, რომ არბოლიშვილი თითქმის 30 მეტრით ჩამორჩა.

### საქართველოს XVII პირველობა სათხილამურო სპორტში

ამანათრბენში გამარჯვებულის საკითხი თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ დაღმართზე პეტროსიანი წაიქცა და თხილამური მოძვრა. არბოლიშვილმა წამსვე ისარგებლა მომენტით, სწრაფად დაეშვა თავქვე და ფინიშთან პირველი მივიდა. პეტროსიანი იძულებული იყო მეორე ადგილით დაკმაყოფილებულიყო.

ვაჟთა ამანათრბენი 4×10 მოიგო „კოლმეურნის" გუნდმა შედეგით 3.38:25. „ისკრის" კოლექტივმა აჩვენა 3.38:57, „დინამომ" — 4.08:58.

II ჯგუფში უძლიერესი აღმოჩნდა ახალქალაქის გუნდი — 3.41:02; მეორე ადგილზეა აჭარა (4.14:23), მესამეზე — ახალციხე (4.19:04). მომდევნო ადგილები ერგოთ სამედიცინო ინსტიტუტს (4.20:17), უნივერსიტეტს (4.21:50) სამხრეთ ოსეთს (4.33:18), უცხო ენების ინსტიტუტს (5.44:30).

ბაკურიანის საშუალო სკოლის გუნდმა, რომელიც ასპარეზობაში კონკურსს გარეშე მონაწილეობს, აჩვენა 3.52:33.

ქალთა ამანათრბენში 4×5 კმ. თავიდანვე დაწინაურდა „დინამოს" კოლექტივი. ქ. კოზანაშვილმა თანაბარ ტემპში გაიარა თავისი ეტაპი და პირველი მივიდა ფინიშთან. მეორე ეტაპზე სტარტი მიიღო სსრ კავშირის ჩემპიონმა ტანვარჯიშში სპორტის ოსტატმა მ. ჯუღელმა. ამ ეტაპზე ინიციატივის ხელში ჩაგდება მოახერხა „ისკრის" წევრმა მ. კალანდარიშვილმა. მაგრამ დინამოელებმა (ვ. კაკიაშვილი და ვ. დიაკონაშვილი) დაიბრუნეს ლიდერობა და გაიმარჯვეს შედეგით 2.09:44.

II ჯგუფის ქალთა გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ამანათრბენში 3×5 კმ. უნივერსიტეტის გუნდმა სამივე ეტაპზე გამოიყვანა კარგად მომზადებული მეთხილამურეები (ნ. უსტიმენკო, რ. წერეთელი, ჯ. ყორიშვილი) და გაიმარჯვა შედეგით 1.52:56. მეორე ადგილი დაიკავა აჭარამ (1.53:52), მესამე — ახალქალაქმა (1.54:42). ჩინებულად მომზადებული კოლექტივი გამოიყვანა ბაკურიანის საშუალო სკოლამ, — ვ. გავამ, ზ. სანაკოევამ და ლ. გაგლოევამ მანძილი დაფარეს 1.39:29.

მეორე დღეს ბაკურიანის პარკის მთის ფერდობზე გაიმართა შეჯიბრება სლალომში. მთელი ტრასის მანძილზე, წითელალმიანი სანიშნეების გასწვრივ, მჭიდროდ იდგნენ მაყურებლები, რომლებიც უდიდესი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს უსწრაფესთა და მოქნილთა ასპარეზობას. მაღლა მთიდან დაშვებული სლალომისტები სხარტად გადიოდნენ რთულ ფიგურებს...



ქალთა შორის II ჯგუფში ყველას აჯობეს უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა: ლ. ღოლობერიძემ აჩვენა 1:07,6, ჯ. ყორიშვილმა 1:17,3, ნ. უსტიმენკომ 1:47,8.

მაღალი ტექნიკა გამოამჟღავნეს პირად ჩათვლაში მონაწილე ბაკურიანის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ი. ყორიშვილმა (1:09,6), ლ. გაგლოევამ (1:13,6), ვ გავამ (1:40,2).

ვაჟთა შორის II ჯგუფში საუკეთესო შედეგი ჰქონდა აჭარის გუნდის წარმომადგენელს ს. კოზანაშვილს — 1:00,7.

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა I ჯგუფის სლალომისტთა შეჯიბრება. მათი ტრასა გაცილებით გრძელი და რთული იყო. შესანიშნავად გაიარა ტრასა „ისკრის" წარმომადგენელმა პ. კოზანაშვილმა. იგი თითქოს არც გრძნობს თხილამურს, თვალშეუვლებლად უვლის გვერდს წინაღობებს და მოხდენილად, ვირტუოზულად არის დაუფლებული ტანის მოძრაობას. პირველ ცდაში მან აჩვენა 51,8, მეორეში—45,4. მისი ორი ცდის ჯამი 1:37,2 საუკეთესო აღმოჩნდა უძლიერესთა შედეგებს შორის.

ქალთა შორის უძლიერესი იყო ქ. ბანდური („ისკრა"), რომელიც ყურადღებით, გამიზნულად გადის წინაღობებს. მან ორივე ცდაში აჩვენა კარგი შედეგი — 49,3 და 48,7. მეორე ადგილზე გავიდა ვერა დიაკონაშვილი („დინამო") — 2:19,9; მესამეზე — მისი და თინა დიაკონაშვილი („კოლმეურნე") — 2:52,1. პირად ჩათვლაში ლ. ღოლობერიძემ მოიპოვა მეორე ადგილი. მან ბევრი დრო დაჰკარგა პირველ ცდაში — 1:07,2, მეორე ცდაში კი აჩვენა საუკეთესო შედეგი — 46,1. კარგი შედეგი აქვს ი. ყორიშვილსაც (2:00,8).

შეჯიბრების მესამე დღეს კვლავ გამუდმებით თოვდა. პროგრამაში იყო რბენა ქალთათვის 8 კილომეტრზე, ხოლო ვაჟთათვის 18 კილომეტრზე. მსაჯთა კოლეგიამ ამ შეჯიბრების ტრასა განზრახ ტყეში გადაიტანა, სადაც თოვლი ისე ჩქარა არ ფარავდა ნათხილამურევს, როგორც ღია მინდორში.

მეთხილამურეებს სტარტი ეძლეოდათ ყოველ 15 წამში. ნათხილამურევს პირველად ვაჟები შეუდგნენ.

ეს საინტერესო შეჯიბრება დამთავრდა ახალქალაქის კოლექტივის წარმომადგენლის დმიტრიევის გამარჯვებით, რომელმაც აჩვენა საუკეთესო დრო — 1.28:35. მეორე ადგილი დაიკავა ს. პეტროსიანმა („ისკრა") — 1.30:13, მესამე — ო. ბიბილურიძემ (ახალქალაქი) — 1.31:04.

ქალთა რბენაში კონკურენციის გარეშე აღმოჩნდა დინამოელი ვ. დიაკონაშვილი. სტარტიდან იგი 42 ნომრით გავიდა, ფინიშთან კი მესამე იყო. მან უჩვენა 46:13, მეორე ადგილი ერგო მის თანაკლუბელს ვ. კაკიაშვილს — 47:12, მესამე — თ. დიაკონაშვილს („კოლმეურნე") — 47:28.

შეჯიბრება გრძელდება.

ბ. ქორქაია

# ბავშვთა არაორგანიზებული გუნდების შესახებ

ჩვენს ქვეყანაში საშუალო სკოლებთან, სპეციალურ სპორტულ სკოლებთან და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებთან არსებობენ ბავშვთა გუნდები, სადაც ნორჩი ფეხბურთელები ყოველგვარი წესების დაცვით, მწვრთნელის ან ფიზკულტურის მასწავლებლის ხელმძღვანელობით განსაზღვრულ დროს უთმობენ ფეხბურთს.

ამავე დროს, ჩვენში მრავლად არიან არაორგანიზებული, ე. წ. „მინდვრის" გუნდები, რომლებიც ეზოებში, ქუჩებში და სხვ. დროისა და წესების დაცვის გარეშე საათობით თამაშობენ ბურთს.

ასეთი გადამეტებული თამაში დროის განუსაზღვრელად დაუშვებელია, რადგან იგი ძალზე უარყოფითად მოქმედობს როგორც ბავშვის ნორმალურ ფიზიკურ განვითარებაზე, აგრეთვე მისი სწავლის ხარისხზე. მაგრამ „მინდვრის" გუნდებს თამაში კი არ უნდა აეკრძალოთ (როგორც ამას აკეთებს ზოგიერთი), არამედ ისინი უნდა მოვაქციოთ უფროსთა სისტემატური მეთვალყურეობის ქვეშ.

კომკავშირისა და ფიზკულტურის ორგანიზაციებმა ასეთი გუნდები აღრიცხვაზე უნდა აიყვანონ და მიამაგრონ მათზე თავიანთი მუშაკები ან აქტივისტები, რომლებიც ნორჩ ფეხბურთელთა აღმზრდელებად მოგვევლინებიან და თვალყურს ადევნებენ წესრიგს, დისციპლინას, ხელს შეუწყობენ ჭაბუკებში მაღალი მორალური და კულტურული ჩვევების გამომუშავებასა და დანერგვას.

სკოლამ უნდა იცოდეს ბავშვთა თავსაყრელი ადგილები და პერიოდულად გზავნოს იქ ფიზკულტურის მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი და სხვ. ამ საქმეში შეიძლება გამოყენებულ იქნან ფეხბურთის მოყვარული მშობლებიც.

„მინდვრის" გუნდზე მიმაგრებულმა ამხანაგებმა ახლოს უნდა გაიცნონ ბავშვები, გაიგონ მათი აკადემიური მოსწრება, საერთო განვითარების დონე და სხვ. ბავშვებს უნდა განვუმარტოთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის როლი მათს ყოველდღიურ საქმიანობაში — სწავლაში, ფიზიკურ გამოწრთობაში, ხასიათის გამომუშავებაში და სხვ. ამავე დროს, ნორჩ ფეხბურთელებს უნდა ავუხსნათ ის, რომ გადაჭარბებული თამაში უარყოფითი შედეგებით დაბოლოვდება.

ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს უნდა გავუსვათ ხაზი: უფროსთათვის არაა სავალდებულო, რომ მათ თავის თავზე მწვრთნელის ფუნქციები აიღონ; პირიქით, ბავშვებს უნდა მივცეთ თავისუფლება თამაშის დროს (ცხადია, დაცული უნდა იყოს არსებული წესები).

ნორჩებმა თავისებურად უნდა ითამაშონ. მაშინ მათ ეძლევათ საშუალება გამოავლინონ საკუთარი ინიციატივა, გამოიმუშავონ ყოველგვარი საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის გრძნობა.

კომკავშირისა და ფიზკულტურის ორგანიზაციების წარმომადგენლებმა „მინდვრის" გუნდებიდან უნდა აარჩიონ ნიჭიერი მოთამაშეები, მათგან შექმნან გუნდი, რომლის შემდგომი მუშაობა ორგანიზებულად წარიმართება. კარგი იქნება, თუ ამ გუნდებს მიამაგრებენ რომელიმე ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებას ან სპორტულ სკოლას, სადაც ბავშვები ივარჯიშებენ ფიზკულტურის მასწავლებლის ან მწვრთნელის ხელმძღვანელობით.

ამგვარი ღონისძიებების გატარება საჭიროა იმისათვის, რომ „მინდვრის" გუნდებში მოთამაშე ნიჭიერი ბავშვები მხედველობიდან არ გამოგვრჩეს (ეს კი, სამწუხაროდ, ხშირად ხდება) და მათთან შემდგომი მუშაობით საბჭოთა ფეხბურთს შევძინოთ პირველხარისხოვანი ოსტატები.

ნუ დაგვავიწყდება, რომ „მინდვრის" გუნდებიდან ბევრი კარგი ფეხბურთელი გამოვიდა. ჩვენი ქვეყნის გამოჩენილმა სპორტსმენებმა ფედოტოვმა, ს ილინმა, პონომარიოვმა, გაგუამ, ლოლობერიძემ, ანთაძემ და სხვებმა სწორედ „მინდვრის" გუნდებში დაიწყეს ფეხბურთის თამაში.

**ბ. პაიჭაძე,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

# სამეცნიერო კონფერენცია

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ამას წინათ გაიმართა მეორე და მესამე წლის ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენცია.

საინტერესო მოხსენება თემაზე „კორტიკალური რეგულაციის მნიშვნელობა გულის მოქმედებაში წინასასტარტო მდგომარეობის დროს" წაიკითხა ასპირანტმა ი. ვარდიშვილმა ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზის შედეგად, დიდი რუსი ფიზიოლოგის პავლოვის მოძღვრების საფუძველზე, ავტორი ამტკიცებს, რომ პირობითი რეაქციები დაახლოებით სამჯერ უფრო ძლიერად ცვლიან (აჩქარებენ) გულის მოქმედებას, ვიდრე უპირობო რეაქციები, რაც მიუთითებს ქერქული რეგულაციის ფუნქციონალურ შეცვლაზე გულის მოქმედებაში წინასასტარტო მდგომარეობისას.

მოძრაობითი ჩვევის შემუშავების ფიზიოლოგიურ მექანიზმებს შეეხო თავის მოხსენებაში ასპირანტი გ. გოგნიაშვილი.

ე. გაგუამ წაიკითხა მოხსენება თემაზე „გამორბენით სიგრძეზე ხტომის ტექნიკის ზოგიერთი საკითხი". ავტორმა დაწვრილებით განიხილა გამორბენით სიგრძეზე ხტომის ტექნიკა და აღნიშნა, რომ იგი განსხვავდება საერთოდ რბენის აჩქარების ტექნიკისაგან. მომხსენებელმა აუდიტორიას გააცნო მის მიერ შემუშავებული ხერხი, მიძღვნილი ამ საკითხისადმი.

მოისმინეს იქნა აგრეთვე მოხსენებები: ა. ციბაძე—„ფიზიკური აღზრდის ბურჟუაზიული სისტემის დანერგვის ცდები მენშევიკურ საქართველოში", ბ. მჭედლიშვილი—„საქართველოს მძლეოსნების (20 წლის ასაკის) ფიზიკური განვითარების შესახებ", ლ. ჩიქოვანი—„გულის ფუნქციონალური უნარიანობის გამოკვლევის მეთოდები" და სხვ.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა პროფ. ს. ნარიკაშვილმა, დოც. ე. აბაშიძემ, ვ. ელაშვილმა და სხვებმა აღნიშნეს ასპირანტთა მომზადების მაღალი დონე და მათ მიერ წამოჭრილი საკითხების აქტუალობა.

**გ. დვალი,**
**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ასპირანტი.**

—◉—

## საჭადრაკო ტურნირი

**სტალინირი.** დამთავრდა სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველობა ჭადრაკში. გაიმარჯვა IV კურსის სტუდენტმა უ. სანაკოევმა.

**ნ. ზადიშვილი**

# მოსწავლე ფიზკულტურელები

**გორი.** ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქალაქის ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლის ფიზკულტურული ორგანიზაცია. აქ მეცადინეობენ ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთისა და სხვა სექციები, რომლებშიც გაერთიანებულია 120-მდე მოსწავლე. სკოლის ფიზკულტურელთა შორის არის მშთ 72 ნიშნოსანი.

**ნ. ბერიძე**

# ბაკურიანში

(ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

## „პიონერსკაია პრავდას" სახელობის კროსი

დიდი ინტერესი გამოიწვია „პიონერსკაია პრავდას" სახელობის სათხილამურო კროსმა, რომელშიც მონაწილეობდა ბაკურიანისა და წაღვერის საშუალო სკოლების 68 მოსწავლე.

11-12 წლის გოგონები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 1 კილომეტრზე რბენაში. ასპარეზობაში ყველას აჯობა ნ. ქურდოღლიანმა (6:00); 13-14 წლის გოგონათა კროსში 2 კილომეტრზე გაიმარჯვა მ. კოზანაშვილმა (10:43,0).

11-12 წლის ჭაბუკებს სტარტი მიეცათ 2 კილომეტრზე. ფინიშთან პირველი მივიდა გ. თვაური (10:00); 13-14 წლის ჭაბუკთა შორის 3 კილომეტრზე გაიმარჯვა ა. ჯეირანაშვილმა (13:54,0).

კროსის ნორმატივებში 68 მონაწილედან ჩააბარა 66.

## „დინამოს" პირველობა

გაიმართა „დინამოს" მეთხილამურეთა 1952 წლის პირველობა, რომლის სტარტზე გამოვიდნენ ახალციხის, ბორჯომისა და აჭარის გუნდები.

ქალთა ამანათრბენში 3×3 გაიმარჯვა ახალციხის გუნდმა (52:00), ვაჟთა ამანათრბენში 4×5 კვლავ ახალციხელები იყვნენ პირველნი — 1.30:55.

აღსანიშნავია ვ. დიაკონაშვილის წარმატება. ნიჭიერმა მეთხილამურე ქალმა ყველას აჯობა სლალომში, სწრაფდაშვებაში, 5 და 10 კილომეტრზე რბენაში.

სლალომში ვაჟთა შორის გაიმარჯვა ვ. ფანჯაკიძემ (ახალციხე) — 1:20,7, ხოლო სწრაფდაშვებაში — ს. ბანდურმა (ახალციხე) — 36,5.

რბენა 18 კილომეტრზე დამთავრდა ვ. ფანჯაკიძის გამარჯვებით — 1.19:31. რბენაში 30 კილომეტრზე საუკეთესო დრო — 2.59:55 — აჩვენა ვ. კოზანაშვილმა (ახალციხე).

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვეს ახალციხის წარმომადგენლებმა.

## უმაღლესი სასწავლებლების მეთხილამურეები

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ტრადიციული სამთო-სათხილამურო შეკრება დაგვირგვინდა საინტერესო შიდასაკოლექტივო შეჯიბრებით, რომელშიც გამარჯვებული გამოვიდნენ ჯ. ყოროშვილი, ო. ლურსმანიშვილი და სხვ.

უნივერსიტეტის 10 სამთო-მეთხილამურე უკვე გაიმართა გადასვლაზე მარშრუტით ბაკურიანი-აწყური-მაიაკოვსკი-ქუთაისი.

• • •

უკვე მეხუთე წელია, რაც სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები ზამთრის არდადეგების პერიოდში ბაკურიანში იკრიბებიან. წელს შეკრებაზე იყო 30 სტუდენტი სპორტსმენი, რომლებმაც დასასრულ გამართეს შეჯიბრება. სათხილამურო სპორტის სხვადასხვა სახეში პირველნი იყვნენ დ. ჯაფარიძე, ნ. სარქისოვა, პ. სუხოვეევი, გ. ბუგაევა.

• • •

თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტთათვის წელს პირველად მოეწყო საწვრთნელი შეკრება, რომლის შემდეგ გაიმართა შიდასაკოლექტივო შეჯიბრება.

მოკლე ხანში ინსტიტუტის 15 სპორტსმენის მონაწილეობით მოეწყობა სათხილამურო გადასვლა მარშრუტით ბაკურიანი — გორი.

## კალათბურთელები ემზადებიან

აქ წინასასეზონო წვრთნას გადიან თბილისის კალათბურთელთა გუნდები: სსრ კავშირის თასის სამგზის მფლობელი „დინამოს" ვაჟთა კოლექტივი, ოფიცერთა სახლის გუნდი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ქალთა კოლექტივი.

დინამოელები ლ. ინწკირველი, გ. რუხაძე, გ. აბაშიძე, ვ. გვანცელაძე, თ. მეძმარიაშვილი და სხვები ხშირად აწყობენ სათხილამურო გადასვლას ლიბანში, ცემში.

ყოველ დილით გადიან კროსზე თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდის წევრები, სპორტის ოსტატები ლ. არონაშვილი, ბ. სარქისოვი, ო. სულაბერიძე და სხვ. ისინი ტაცებით ეუფლებიან სამთო-სათხილამურო სპორტის რთულ სახეებს — სწრაფდაშვებასა და სლალომს.

სისტემატურად ვარჯიშობენ ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელი ქალები. ს. ნარიმანიძე, ე. ვარლამოვა, ლ. ჯაიანი და სხვანი დილის გამამხნევებელი ვარჯიშების შემდეგ აწყობენ სათხილამურო გადასვლას, კროსს.



**სურათზე:** ბაკურიანის საშუალო სკოლის ნორჩი მეთხილამურეები მეცადინეობენ მასწავლებელ ნ. თვაურის ხელმძღვანელობით.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# სამხაზიანი შაშხანის შემოქმედი

8 თებერვალს შესრულდა 50 წელი რუსული სამხაზიანი შაშხანის გამომგონებლის სერგეი ივანეს-ძე მოსინის გარდაცვალებიდან.

ნიჭიერი კონსტრუქტორი ს. ი. მოსინი დაიბადა 1849 წლის 2 აპრილს ვორონეჟის გუბერნიის სოფელ რამონში. პეტერბურგის საარტილერიო აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი დანიშნულ იქნა ტულის იარაღის ქარხნის საინსტრუმენტო სახელოსნოს უფროსის თანაშემწედ. აქ იგი თავდადებით მუშაობდა სწრაფმსროლელი თოფის — შაშხანის შესაქმნელად.

მოსინი შეუპოვრად ებრძოდა ზოგიერთ გავლენიან რუს სამხედრო სპეციალისტს, რომლებიც მონურად იხრიდნენ ქედს უცხოეთის ტექნიკის წინაშე და უნდობლობას იჩენდნენ მისი გამოგონებისადმი. მოსინის შრომა გამარჯვებით დაგვირგვინდა: მის მიერ კონსტრუირებული თოფი 1891 წლიდან მიღებული იქნა რუსეთის არმიის ქვეითი ნაწილების შესაიარაღებლად და ეწოდა 1891 წლის ნიმუშის სამხაზიანი შაშხანა.

აღსანიშნავია, რომ 1900 წელს პარიზის მსოფლიო გამოფენაზე უცხოელები იძულებული გახდნენ ეღიარებინათ, რომ მოსინის შაშხანა უმაღლესი ჯილდოს ღირსი იყო. ამგვარად, რუსმა კონსტრუქტორმა უკან მოიტოვა უცხოელი გამომგონებლების ნაგანის, მაუზერის, განლიჰერის, კრაგიურგენსონის, ვინჩესტერისა და სხვათა ცეცხლმსროლელი იარაღი და ერთხელ კიდევ უჩვენა მსოფლიოს რუსული ტექნიკური აზრის სიდიადე.

მოსინის შაშხანის სახით რუსეთის არმიამ მიიღო მსოფლიოში საუკეთესო, საიმედო, ადვილსახმარი, ცეცხლითი და ხელჩართული ბრძოლის მრისხანე იარაღი. ამას ადასტურებდნენ შაშხანის უშუალო გამომყენებელნი — რუსი ჯარისკაცები.

ერთხელ მოსინი ესაუბრა შორეულ აღმოსავლეთიდან ჩამოსულ ჯარისკაცს.



— აბა, მითხარი, სტეპან, — შეეკითხა მას სერგეი ივანეს-ძე, — კმაყოფილი არიან მებრძოლები შაშხანით?

— რაც მართალია, მართალია, — მიუგო ჯარისკაცმა, — შესანიშნავი რამ არის: წვიმით დასველდება — ისვრის, დამტვერიანდება, — ისვრის, დაიჟანგება — ისვრის... უტყუარი იარაღია!

ასე აფასებდნენ ჯარისკაცები მოსინის შაშხანას და ეს მისთვის ყველაზე ...

როდესაც ს. ი. მოსინი გარდაიცვალა, მეფის არმიის ოფიციალურმა გაზეთმა „რუსკი ინვალიდმა" სტრიქონიც კი არ გაიმეტა ნეკროლოგისათვის, ხოლო როცა შემთხვევით იმპერატორ ნიკოლოზ II მოსინის გარდაცვალების შესახებ მოახსენეს, მან ვერასგზით ვერ გაიხსენა, თუ ვინ იყო მოსინი.

ყველაფერი ეს ნათლად მეტყველებს იმ უსულგულო დამოკიდებულებას, რასაც იჩენდა მეფის მთავრობა მოსინისადმი.

რუსული იარაღის კონსტრუირების საქმის ფუძემდებლის, გამოჩენილი გამომგონებლის ს. ი. მოსინის სახელი სათანადოდ დაფასდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. 1930 წელს შაშხანაში, მისი სრულყოფის მიზნით, შეტანილ იქნა მცირეოდენი კონსტრუქციული ცვლილება და მას ეწოდა 1891-1930 წლის ნიმუშის მოსინის სამხაზიანი შაშხანა.

ამის შემდეგ საყოველთაოდ ცნობილი გახდა ჩვენი ხალხისათვის, რომ შაშხანის შემქმნელი იყო მათი თანამემამულე ს. ი. მოსინი.

მოსინის ხსოვნის უკვდავსაყოფად ტულაში დაიდგა გამომგონებლის ძეგლი, მისი სახელი მიეკუთვნა ტულის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმსა და ერთ-ერთ ქუჩას, დაწესებულია მოსინის სახელობის სტიპენდიები.

საბჭოთა ხალხი მუდამ დიდი პატივისცემით მოიგონებს ს. ი. მოსინს, რომლის შაშხანა დღესაც მრისხანე იარაღია საბჭოთა არმიის მეომართა ხელში.

# წერილების კვალდაკვალ

## „ტანვარჯიშის იარაღებთან — სოფლის ახალგაზრდობა"

ამ სათაურით „ლელოში" დაბეჭდილი იყო საქართველოს ნებაყოფლობითი სასოფლო სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის" ტანმოვარჯიშეთა I რესპუბლიკური შეჯიბრების ანგარიში. წერილში, სხვათა შორის, აღნიშნული იყო შეჯიბრებისადმი „კოლმეურნის" მთელი რიგი საოლქო და რაიონული საბჭოების უპასუხისმგებლო დამოკიდებულება.

კოლმეურნე ტანმოვარჯიშეთა I რესპუბლიკური შეჯიბრების შედეგები განხილულ იქნა „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმზე. პრეზიდიუმმა აღნიშნა კოლმეურ...

...მი მთელი რიგი რაიონული და საოლქო საბჭოების (აფხაზეთი, აჭარა, სამხრეთ ოსეთი, სამტრედია და თბილისის გარეუბნის რაიონი) უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რაც იმაში გამოიხატა, რომ მათ ვერ უზრუნველყვეს შეჯიბრებაზე გუნდების გამოცხადება.

პრეზიდიუმის დადგენილებით „კოლმეურნის" საოლქო და რაიონული საბჭოების თავმჯდომარეებს: ამხ. ა. ჩაჩიბაიას (აფხაზეთი), ვ. ჩხარტიშვილს (აჭარა), ს. გასიევს (სამხრეთ ოსეთი), გ. მანჯგალაძეს (სამტრედია) და კოტორაშვილს (ქ. თბილისის გარეუბნის ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საეტიუდო ხელოვნება—ახალ სიმაღლეზე!

## ეტიუდების შედგენის საკავშირო კონკურსის შედეგები

გასული წლის იანვარში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა და გაზეთმა „ლელომ“ გამოაცხადეს საკავშირო კონკურსი ეტიუდების შედგენაში, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30 წლისთავს.

კონკურსმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მასში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის 15 ცნობილმა საჭადრაკო კომპოზიტორმა, რომლებმაც წარმოადგინეს 40-მდე ნაწარმოები.

კონკურსზე წარმოდგენილი ეტიუდები გამოირჩევიან თავიანთი მაღალი მხატვრულობითა და იდეურობით. მათში, განსაკუთრებით კი პრემირებულ ნაწარმოებებში, ნათლად გამოსჭვივის საბჭოთა საეტიუდო ხელოვნების ფუძემდებლის ა. ტროიცკის ნანდერძევი დებულებების გაღრმავება, დებულებებისა, რომელთა მთავარი აზრია საეტიუდო თეორიის იდეების გამდიდრებასთან პარალელურად დაეხმარონ პრაქტიკოს მოჭადრაკეებს საენდშპილო ტექნიკის ამაღლებაში.

კონკურსის შედეგების შეჯამების საფუძველზე, ჟიურის გადაწყვეტილებით, შერჩეული 11 ეტიუდიდან 5 პრემირებულია, სამმა მიიღო საპატიო შეფასება, სამმა კი — საქები შეფასება.

ჟიურის გადაწყვეტილება განიხილა და დაამტკიცა საჭადრაკო კომპოზიციის საკავშირო ცენტრალურმა კომისიამ.

საპრიზო ადგილები განაწილდა შემდეგნაირად:

### I პრიზი

ვ. კოროლკოვი (ლენინგრადი)



თეთრები იწყებენ და იგებენ

ეს შესანიშნავი ეტიუდი აგებულია შამათის თემაზე. შავები სასიკვდილო მუქარების ასაცილებლად მრავალჯერ სწირავენ ეტლს, მაგრამ თეთრები მეფის გააზრებული სვლებით თავს არიდებენ „საჩუქრის“ მიღებას და ერთი ფიგურით აღწევენ სწორი შამათის გამოცხადებას. ეტიუდი ავტორის უდაოდ დიდი მიღწევაა.

1. f7 ეa6+ 2 კa3! ე:a3+ 3. მფb2 (თეთრების მიზანია პაიკის გაყვანა, მაგრამ შავები მედგარ წინააღმდეგობას უწევენ.) ეa2+! 4. მფc1! (ეტლის აღებაზე კe6+ და კ:f7) ეa1+5. მფd2 ეa2+6. მფe3 ეa3+ 7. მფf4 ეa4+ 8. მფg5 ეg4+! 9. მფh6! ეg8 10. მe7 კe6 11. fgლ+ კ:g8 12. მg6×.

* * *

### II პრიზი

ზ. ბირნოვი (სტალინგრადი)



თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს

სრულყოფილი მხატვრული ეტიუდია. ბირნოვმა იპოვა ახალი პოზიცია, სადაც ორი მხედარი შველის თეთრებს თითქოს გარდუვალი დამარცხებისაგან შავების ჭარბი ძალების წინააღმდეგ.

1. მg5+მფh6 2. მgf3 ძ1ლ 3. მg4+ მფh7 4 მf6+მფh8 5. მe5! (იმისათვის, რომ შავებმა მოიგონ, საჭიროა გაიდევნოს თეთრი მეფე g7 უჯრის მისადგომებიდან) ლb3+ 6 მფg6 ლb1+ 7. მფf7 ლa2+ 8 მფg6 ლg2+ 9. მფf7 ლg7+ 10. მფe6 შავებმა მიაღწიეს მიზანს, მაგრამ მათი მეფე თამაშში ვერ ებმება, რადგან g7 უჯრა შავ ლაზიერს უკავია. ახლა არ შეიძლება ლაზიერის დაყენება c7-ზე ან g3 უჯრაზე მისი დაკარგვის გამო, ხოლო g2-ზე დაბრუნების შემთხვევაში თეთრები ბრუნდებიან f7-ზე და ყაიმია. უნიკალური პოზიციაა!

* * *

### III პრიზი

გ. ნადარეიშვილი (თბილისი)



თეთრები იწყებენ და იგებენ

ეს ნაწარმოები ნიჭიერი ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორის ბრწყინვალე შემოქმედებითი მიღწევაა. ავტორმა შექმნა მინიატურული ფორმის მაღალმხატვრული, დახვეწილი ნაწარმოები, რომელშიც ფიგურათა ბუნებრივ განლაგებასთან კარგად არის შეხამებული საინტერესო შესავალი თამაში, მაცდური გზები და ჩინებული ფინალური პოზიცია, სადაც თეთრების ორი კუ გამარჯვებული გამოდის შავების კუსა და პაიკის წინააღმდეგ.

საჭადრაკო კომპოზიციის საკავშირო ცენტრალური კომისიის რჩევით ამ ეტიუდს, როგორც სანიმუშო ანალიტიკურ ნაწარმოებს, დამატებით მიენიჭა სპეციალური პრიზი.

1. მფg6! b2 (განვიხილოთ შავების სხვა შესაძლებლობა;

I. 1. .. მფc2 2. მd3 კc3 3. მc5 კb4 4. კd3+მფc3 5. კf5 მფc4 6. კe6+ მფb5 7. მd7 კ:f8 8. მ:f8 b2 9. კf5 მფc4 10. მe6 მფc3 11. მf4 მფd2 12. მd5 მოგებით.

II 2. ... კd4 3. მb4+ და 4. კd3 მოგებით) 2. მa2+! (მხოლოდ ასე. არ ვარგა 2. მe2+? მფc2 3. მd4+ მფd1! 4. კd3 b1 ლ და ყაიმია. ასევე მოგებას არ იძლევა 2. კg7+ მფc2 3. კd3+ მფd2 4. კh6+ ყაიმით) 2. ... მფb3 3. კd3 მფ:a2 (თუ b1ლ 4. კ:b1 მფb2 5 მc3 მფ:c3 6. კg7+) 4. კc4+ მფb1 5. კb3 მფc1 6. კh6+ მფb1 7. მფg5 (აქ ირკვევა თეთრების პირველი სვლის მიზანი) მფc1 8. მფf5+ მფb1 9. მფf4 მფc1 10. მფe4+ მფb1 11. მფe3 მფc1 12. მფd3+ მფb1 13 კf8! მფc1 14. კa3 მფb1 15. მფd4 მფc1 16. მფc3 მფb1 17. კf7 მფc1 18. კh5 მფb1 19. მფb3 მფc1 20. კg6 მფd2 21. კb1 მფc1 22. მფa2 მფd2 ახლა, როცა ბლოკირებულია შავების გამსვლელი პაიკი, იწყება ეტიუდის დამამთავრებელი ნაწილი, სადაც შავი მეფე ფორსირებულად შამათდება g8 უჯრაზე. მიზნის მისაღწევად უმოკლესი გზა შემდეგია: 23. კb4+ მფd1 24. კe7 მფd2 25. კf6 მფe3 26. მფb3 მფd2 27. კg5+მფe2 28. მფc3 მფf3 29. მფd2 მფg4 30. კh6 მფh5 31. კe3 მფg4 32. მფe2 მფh5 33. მფf3 მფh4 34. კc5 მფg5 (თუ მფh3, მაშინ 35 კe7 მფh2 36. მფf2 შამათით რამდენიმე სვლაში) 35. კe7+ მფh5 36. მფf4 მფh6 37. კf6 მფh5 38. მფf5 მფh6 39. კg5+ მფg7 40. მფe6 მფf8 41. მფd7 მფf7 42. მფd6 მფf8 43. მფe6 მფe8 44. კg6+ მფf8 45. კh6+ მფg8 46. კb1 მფh8 47. მფf6 მფg8 48. მფg6 მფh8 49. კg7+ მფg8 50. კa2×.

* * *

### IV პრიზი

მ. ზახოდიაკინი (მოსკოვი)



თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს

დახვეწილი და იდეური ეტიუდია მუდმივი ქიშის თემაზე. რამდენიმე ვარიანტით თამაში მთავრდება მუდმივი ქიშით მარტივ პოზიციაში.

1. კd7+ მფb3 (შავი მეფე იმოძრავებს დიაგონალზე a4—d1, რათა დაემალოს „მაბეზარ“ კუს e1 უჯრაზე) 2. კe6+მფc2 3. კf5+მფd1 (თუ მფc3 4. კf6+მფc4 5 კe6+მფc5 6 კe7+მფc6 7. კd7+! მფd5 8. კe6+! ყაიმი) 4. კg4+მფe1 (თუ მფd2 5. კg5+მფd3 6. კf5+მფd4 7. კf6+მფd5 8. კe6+მფe4 9. კf5+! ყაიმი) 5. b7! (არ შეიძლებოდა 5. კe7 იხ. მე-10 სვლა) g1ლ 6. კa5+მფf1 7. კh3+მფe2 8. კg4+მფd3 9. კf5+მფc4 10. კe6+ ყაიმი. ახლა თეთრების მეორე კუ b4-ზე იქნებოდა, რომ მათ 5. კe7 ეთამაშათ, მაგრამ ამ შემთხვევაში შავი მეფე შეძლებდა ამ კუს აყვანას.

* * *

### V პრიზი

ტ. გორგიევი (მახაჩ-ყალა)



თეთრები იწყებენ და იგებენ

კომპოზიტორმა შეძლო ერთ ეტიუდში წარმოედგინა სინთეზურ ფორმაში მრავალი იდეა, რომელზედაც ავტორს წლების მანძილზე უმუშავია. ნაწარმოები შესრულებულია საეტიუდო ტექნიკის მაღალ დონეზე.

1. g6! (ამ სვლის აზრი მჟღავნდება მე-8 - 9 სვლაზე თუ 1. კ:f3+? მფd6 2. ეd8+ მფe5 3. ეd5+მფf4 ყაიმით) კ:g6 2. ე:f3 მg5 3. ეf5+!! მe4! 4. კ:e4+მფd6 5. ეd5+მფc6 (თუ მფe6 6. კh1) 6. ეd4+(არ შეიძლება 5. კh1 კf7=თუ 5. ეe5+? მფd6 6. ეd5+ მფc6!=თუ 5. ეf5+? მფd6 6 ეf4 მფe5) მფc5 7. ეa4 მფb5 8. კc6+! მფ:c6 9. ეa6+მოგებით.

* * *

### I საპატიო შეფასება

მ. ლიბურკინი (მოსკოვი)

თეთრები: მფd5, ეc6, ეf8, მh4 პ. e2 (5)

შავები: მფh2, ეc1, ეf1, პ-ბი c2, d7 (5)

თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს

ეტიუდში წარმოდგენილია დაფის ცენტრში ორი ქამელეონური პატი, რომელიც შეთანხმებულია „შმაგი“ ეტლის თემასთან.

1. მf3+ ე:f3! 2. ე:c2 ეd1+ 3. მფe5! ე:f8 4. e4+! მფg3 (g1) 5. ეg2+მფ:g2 პატი; თუ 3. ... d6+ 4. მფe4! ე:f8 5. e3+! მფh3 6. ეh2+მფg4 7. ეg2+მფh5 8. ეg5+მფh6 9. ეg6+ მფh7 10. ეg7+მფh8 11. ეh7+მფ:h7 პატი.

* * *

### II საპატიო შეფასება

ტ. გორგიევი (მახაჩ-ყალა)

თეთრები: მფc1, ეb7, კc2, მc6, პ ბი b4, c4 (6)

შავები: მფa1, ეf4, კf3, პ-ბი, a2, b5, b6 (6)

თეთრები იწყებენ და იგებენ

აქ ცოცხალი თამაშის დამამთავრებელია ამოცანათა კომპოზიციიდან ეტიუდში დიდი ოსტატობით გადმოტანილი გადახურვის ნოვოტნოვის თემა.

1. ეf7!! ე f7 (თუ 1. .. ე:c4 2. მe5! ე:b4 3 ე:f3 ეb1+ 4. მფd2 b4 5. მd3 მოგებით) 2. მd4 bc 3. კb3! (მუქარაა 4. მc2×) კe4! (თუ 3. კd1 4. კ:d1 ეf2 5. კe2) 4. კ:c4 ეf3! 5. კd3! შამათისაგან არ არის დაცვა.

* * *

### III საპატიო შეფასება

ვ. კოროლკოვი (ლენინგრადი)

თეთრები: მფd1, კh7, პ-ბი: c6, g5 (4)

შავები: მფf7, ეh6, პ-ბი: a4, b7, e7 (5)

თეთრები იწყებენ და იგებენ

კომპოზიტორმა კარგად გამოიყენა პრაქტიკული პარტიიდან აღებული პოზიცია (დაახლოებით ასეთი პოზიცია გვხვდება კოლმეურნეთა საკავშირო პირველობის გათამაშების ერთ-ერთ პარტიაში) და წარმოგვიდგინა იგი საეტიუდო ფორმაში.

1. g6+მფg7 2 cb! (2. c7 შემდეგ ყაიმია, აი როგორ: ეh1+ 3. მფd2 ეh2+ 4. მფc1 ეh1+ 5. მფb2 a3+ შავი პაიკი ათავისუფლებინებს თეთრ მეფეს c ვერტიკალს თუ 4 მფc3 მაშინ ეh3+5. მფd4 e5+ ახლა უკვე e პაიკი ათავისუფლებინებს c ვერტიკალს 2...ეh1+ 3. მფc2 ეh2+4. მფc1 (მხოლოდ ასე თუ მფc3 ეh3+ და ეb3) ეh1+ 5. მფb2 ეh2+6. მფa3 ეh3+ 7. მფ:a4 ეh1 8. კg8!! e6 9. კ:e6 ეh8 10. კc8 ეh1 11. კf5 მოგებით.

* * *

### I საქები შეფასება

გ. ნადარეიშვილი (თბილისი)

თეთრები: მფh8, კd3 (2)

შავები: მფg5, პ ბი: a3, a4 (3)

თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს

მოკლე, მაგრამ წარმტაცი ეტიუდია თეთრი კუს მოსაწონი მანევრით.

1. კc4 მფf6! 2. კg8!! (ყველა სხვა სვლაზე თეთრები აგებენ) მფe5 3. მფg7 მფd4 4. მფf6 მფc3 5. მფe5. მფb2 6. მფd4 a2 7. კ:a2 მფ:a2 8 მფc3 ყაიმი.

### II საქები შეფასება

ზ. ბირნოვი (სტალინგრადი)

თეთრები: მფc6, კf5, კh6 (3)

შავები: მფa8, კf1, მf7, მd1, პ. b6 (5)

თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს

ავტორი იუმჯობესებს განსვენებული საბჭოთა კომპოზიტორის ლ. კუბელის ცნობილი ეტიუდის შესავალ თამაშს, რომელიც მუდმივი დაცემის თემაზეა აგებული.

1. კg7! მe3! 2 კg6! მd8+ 3. მფ:b6 მc4+4. მფc7 მe6+ 5. მფd7 მ:g7 6. მფe7! კe2! (თუ მe5 7. კe4+მფ~ 8. მფ f6) 7. მფf6 მh5+ 8. მფg5 მg3 9. მფf4 მf1 10. კe4+მფ~ 11. კf3! კd3 12 კe4! კe2 13. კf3! პოზიციური ყაიმი.

* * *

### III საქები შეფასება

ზ. ბირნოვი (სტალინგრადი)

თეთრები: მფh8, ეh2, ეh5, კc7, მa7, პ. b6 (6)

შავები: მფa6, ეg4, კa8, პ-ბი: a2, b2 (5)

თეთრები იწყებენ და იგებენ

აქ თეთრი მეფე გეომეტრიულად ზუსტი სვლებით გაურბის „შმაგი“ ეტლის დევნას და აღწევს შავი მეფის საპატო პოზიციის დანგრევას.

1. ეa5+! მფb7 2. ე:b2 a1ლ! 3. ე:a1 ეg8+! 4. მფh7 ეg7+ 5. მფh6 ეg6+ 6. მფh5 ეg5+ 7. მფh4 ეg4+ 8. მფh3 ეg3+ 9. მფh2 ეg2+10. მფh1 ეh2+ 11. მფg1 ეe2+ 12. მფf1 ეf2+ 13. მფe1 ეe2+ 14. მფd1 ეd2+ 15. მფc1 ეc2+16. მფb1 ე:b2+17. მფc1 ეc2+18. მფd1 ეd2+ 19. მფe1 ეe2+ 20. მფf1 ეf2+ 21. მფg1 ეg2+ 22. მფh1 ეh2+23. კ:h2 მოგებით.

* * *

დამთავრებული საკავშირო კონკურსი უდაოდ დიდ სამსახურს გაუწევს საბჭოთა კავშირში და, კერძოდ საქართველოში, საეტიუდო ხელოვნების წინსვლას.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კონკურსში საქართველოდან მონაწილეობას ღებულობდა მხოლოდ სამი კომპოზიტორი, რაც სრულებით არ არის საკმარისი. საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ კარგი იქნება თუ შემდგომში რეგულარულად მოეწყობა ამოცანებისა და ეტიუდების შედგენის საკავშირო კონკურსები.

**ვ. კასპარიანი,**
კონკურსის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო ოსტატი, საჭადრაკო კომპოზიციის ოსტატი.

**თ. გიორგაძე,**
მსაჯი: ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში.

## თბილისის 1952 წლის პირველობა ჭადრაკში

### მაყურებლის დღიურიდან

**5 თებერვალი.** დღეს, IX ტურში მხოლოდ ორი პარტია დამთავრდა. გამრეკელს სიცილიურ დაცვაში უკვე მე-15 სვლაზე შეეძლო თაბორიძის ლაზიერის მოგება, მაგრამ მან იჩქარა და საბოლოოდ მხოლოდ მცირე უპირატესობა მიიღო. შემდგომში თაბორიძე ცდილობდა შეტევის განვითარებას და ამ „საქმეს“ მხედარიც კი შესწირა, მაგრამ ამაოდ: ზედმეტი ფიგურით გამრეკელმა 38-ე სვლაზე გამარჯვებას მიაღწია.

არანაკლებ დრამატული ფინალით აღინიშნა ალამალიანის შეხვედრა ტიმოფეევთან. უხუცესმა მოჭადრაკემ ისე გაითამაშა ლაზიერის გამბიტის მერანის ვარიანტი, რომ უკვე 28-ე სვლაზე უიმედო მდგომარეობაში სვლების მოფიქრებისათვის განკუთვნილ დროს გადააცილა და... ტიმოფეევმა „1“ მიიღო.

მწვავე „ხელჩართული ჭიდილი“ გაიმართა იმ მაგიდაზე, რომელსაც უსხდნენ ჯაკობია და ებრალიძე. ჯაკობიამ გაბედული სვლებით ძალზე გაამწვავა პარტია. შუათამაშში ებრალიძე დაუნდობლად „ხოცავდა“ მოწინააღმდეგე პაიკებს, რამაც ჯაკობიას საშუალება მისცა კომბინაციური სვლებით მოსაგები იერიში განევითარებინა.

როცა ჯაკობიას გამარჯვება არავითარ ეჭვს აღარ იწვევდა, მან ხელიდან გაუშვა მოწინააღმდეგის მეფის დამამათების მარტივი გზა. ამ შამათს ყველა ხედავდა—მრავალრიცხოვანი მაყურებლებიც, მსაჯებიც, მოჭადრაკეებიც და, ალბათ, თვით ებრალიძეც... ვერ ხედავდა მხოლოდ ის, ვისაც, პირველ ყოვლისა, უნდა ენახა ეს შამათი—ჯაკობია. შემდგომში ჯაკობიამ რამდენიმე შეცდომა დაუშვა და უპირატესობაც დაჰკარგა. პარტია გადაიდო ებრალიძისათვის უკეთეს მდგომარეობაში.

* * *

**7 თებერვალი.** X ტურში შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ წოწოლაშვილმა დაამარცხა ალამალიანი.

ჯაკობიამ ბუსლაევთან დასაწყისშივე უპირატესობა მიიღო, მაგრამ პარტიის შემდგომ სტადიაში, ბუსლაევის კომბინაციის შედეგად, წააგო ორი პაიკი. უიმედო წინააღმდეგობის შემდეგ მან დათმო პარტია.

გაჩეჩილაძე და ელიოზიშვილი პირველ სვლებიდანვე ყაიმისათვის იბრძოდნენ და ბოლოსდაბოლოს ორივემ თავის მიზანს მიაღწია.

დანარჩენი პარტიები გადადებულია.

**ნ. იმესაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დილა მშვიდობისა, ამხანაგებო!

★

## დილის ვარჯიშების მეექვსე კომპლექსი

★

**I ვარჯიში. ხელების განზე აწევა და უკან გაშლა.**




**საწყისი მდგომარეობა:** ფეხები გაშალეთ მხრების სიგანეზე, თავი დახარეთ, ხელები თავისუფლად დაუშვით.

**თვლაზე 1-2:** აწიეთ ხელები განზე (ხელის გულები ზევით), შემდეგ გაწიეთ უკან, გაიზნიქეთ და ჩაისუნთქეთ;

**თვლაზე 3-4:** დაუშვით ხელები და დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, ამოისუნთქეთ.

**II ვარჯიში. ფეხის ქნევითი მოძრაობა.**




**საწყისი მდგომარეობა:** გადადგით მარცხენა ფეხი უკან, ფეხის ცერზე; მარჯვენა ხელით დაეყრდენით სკამის ზურგს, ხოლო მარცხენა — დოინჯში.

**თვლაზე 1:** აიქნიეთ მარცხენა ფეხი წინ და მაღლა;

**თვლაზე 2:** დაუშვით ფეხი და უკან გაწიეთ.

ვარჯიშის დროს სუნთქვა თანაბარია.

ვარჯიში გაიმეორეთ 8-ჯერ თვითეული ფეხით. მარჯვენა ფეხით მოძრაობის დაწყების წინ მარცხენა ხელით დაეყრდენით სკამის ზურგს, მარჯვენა — დოინჯში, მარჯვენა ფეხი გადადგით უკან ფეხის ცერზე.

**III ვარჯიში: ზურგზე წოლითი მდგომარეობიდან ფეხისა და ხელების აწევა, ვიდრე ხელის თითები წვივს არ შეეხებიან.**




**საწყისი მდგომარეობა:** დაწექით ზურგზე, გამართული ფეხები შეაერთეთ, ხელები დააწყვეთ განზე.

**თვლაზე 1-2:** აწიეთ გამართული მარცხენა ფეხი და ხელები, შეეცადეთ წვივით შეეხოთ ხელის თითებს, ამოისუნთქეთ;

**თვლაზე 3-4:** დაუშვით ხელები და მარცხენა ფეხი და დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, ჩაისუნთქეთ.

შემდეგ ოთხ თვლაზე შეასრულეთ იგივე მოძრაობა მარჯვენა ფეხით.

**IV ვარჯიში. ტანის დახრა ერთი ფეხის მოხრით, ხელის გულებით იატაკის შეხება ფეხის ცერთან.**




**საწყისი მდგომარეობა:** ფეხები გაშალეთ მხრებზე უფრო განივრად, ხელები აწიეთ განზე.

**თვლაზე 1-2:** მოხარეთ მარჯვენა ფეხი, ხელები დაუშვით და დახარეთ ტანი ისე, რომ ხელის გულებით შეეხოთ იატაკს მარჯვენა ფეხის ცერთან, ამოისუნთქეთ;

**თვლაზე 3-4:** გაიმართეთ და დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, ჩაისუნთქეთ.

შემდეგ ოთხ თვლაზე შეასრულეთ იგივე მოძრაობა მეორე მხარეს, მარცხენა ფეხის მოხრით.

**V ვარჯიში. აკვრა კედლიდან ორივე ხელით.**




**საწყისი მდგომარეობა:** დადექით პირით კედლისაკენ, მისგან დიდი ნაბიჯის მანძილზე, გაშალეთ ფეხები მხრების სიგანეზე, ხელები დაუშვით.

**თვლაზე 1-2:** წინვარდნით მიეყრდენით კედელს გამართული ხელებით, მოხარეთ ხელები იდაყვებში და ჩაისუნთქეთ;

**თვლაზე 3-4:** მკვეთრად აჰკარით ხელები კედლიდან, დადექით სწორად და დაუშვით ხელები, ამოისუნთქეთ.

**VI ვარჯიში. ტანის ბრუნებით ხელების დარტყმა წინ.**




**საწყისი მდგომარეობა:** გაშალეთ ფეხები მხრების სიგანეზე ცოტათი განივრად, მარცხენა ხელი მოხარეთ და უკან გაწიეთ, მარჯვენა აწიეთ წინ. თითები მომუჭეთ, ტანი შეატრიალეთ მარცხნივ. ყოველ თვლაზე თანმიმდევრობით შეასრულეთ დარტყმა წინ მარცხენა და მარჯვენა ხელით, შესაბამისად შეაბრუნეთ ტანი მარჯვნივ და მარცხნივ. ვარჯიშის დროს სუნთქვა თანაბარია.

**VII ვარჯიში. წახტომები ფეხების განზე გაშლით და ხელების განზე აწევით.**




**საწყისი მდგომარეობა:** ფეხები ერთად, ხელები დაუშვით.

**თვლაზე 1:** ფეხები წახტომით გაშალეთ განზე, ერთდროულად ხელები აწიეთ განზე;

**თვლაზე 2:** შემდეგი წახტომით ფეხები შეაერთეთ და ხელები დაუშვით.

ვარჯიშის დროს სუნთქვა თანაბარია.

ს. მ. — საწყისი მდგომარეობა.



ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტები ერთ-ერთი უძლიერესნი არიან მსოფლიოში. სურათზე: ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდის ვარჯიში.

## ჩეხოსლოვაკიის პირველობა ჰოკეიში

დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის პირველობის გათამაშება შაიბიან ჰოკეიში. ჩემპიონის წოდება მოიპოვეს „ვიტკოვიცე — ჟელეზარნის" (ქალაქ ვიტკოვიცის მეტალურგიული ქარხნის გუნდი) სპორტსმენებმა, რომლებმაც ფინალში დააგროვეს 8 ქულა (გატ... ნილი და მიღებული შაიბების შ... ფარდება 28:1). ამდენივე ქულა და... გროვა და მეორე ადგილზე გამოვი... არმიელთა კოლექტივი „ატკ".

## უნგრეთის მეციგურეთა შეჯიბრება

ბუდაპეშტში ჩატარდა უნგრეთის პირველობა ციგურებით ჩქაროსნულ რბენაში.

აბსოლუტური ჩემპიონის წოდებისათვის ბრძოლა ძირითადად გაიმართა ორ სპორტსმენს — ლერინცსა და მერენის შორის. გაიმარჯვა იოჟეფ მერენიმ, რომელმაც მრავალჭიდ... ჯამში დააგროვა 207,327 ქულა.

დისტანციებზე გამარჯვებულნი გ... მოვიდნენ: 500 მ. — ლერინცი (45,8); 1.500 მ. — ლერინცი (2:30,5); 5.000 მ. — მერენი (8:55,4); 10.000 მ. — მერენი (19:06,4).

## ი. ანდერსენის ორი გამარჯვება
### ახალი მსოფლიო რეკორდი

ქ. ესტერსუნდში (შვეცია) გაიმართა ევროპის პირველობის გათამაშება ვაჟთა შორის ციგურებით ჩქაროსნულ რბენაში. ჩემპიონატში მონაწილეობდნენ უნგრეთის, ნორვეგიის, შვეციის, ფინეთის, იტალიის, ჰოლანდიის, ინგლისისა და ავსტრიის წარმომადგენლები.

საინტერესო ასპარეზობის შედეგად პირველი ადგილები მოიპოვეს: 500 მეტრზე რბენაში ფინელმა ლ. პარკინენმა (44,8); 1.500 მეტრზე — ჰოლანდიელმა ვან დერ ვოორტმა (2:23,3), 5.000 და 10.000 მეტრზე — ნორვეგიელმა იალმარ ანდერსენმა (შესაბამისად 8:23,6 და 17:30,4).

ოთხი დისტანციის ქულათა ჯამ... მიხედვით ევროპის ჩემპიონის წოდ... ბა მიენიჭა იალმარ ანდერსენს, რო... მელმაც მოაგროვა 196,347 ქულ... მეორე ადგილზეა ჰოლანდიელი ... ბრეკმანი (200,440).

ბრწყინვალე წარმატება მოიპო... ი. ანდერსენმა ნორვეგიის პირველ... ბის გათამაშებისას, რომელიც ჩატა... და ქ. გიოვიეში.

10.000 მეტრზე რბენაში მან გამო... მჟღავნა შესანიშნავი ფიზიკური ... ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადება ... 30 წამზე მეტით ჩამოიტოვა რა მე... რე ადგილზე გამოსული უ. კარლს... ნი, დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორ... დი—16:51,4.

## მათი ზნე-ჩვეულებანი

### ამერიკული სპორტის მაგალითის მიხედვით

ამას წინათ, ავსტრალიაში გაიმართა საფრანგეთისა და ავსტრალიის ეროვნული გუნდების შეჯიბრება რეგბიში. პირველი შეხვედრა (სიდნეიში) დამთავრდა ავსტრალიელთა საშინელი დამარცხებით—15:26.

გაითვალისწინეს რა ფრანგების სიძლიერე, ავსტრალიელებმა მეორე შეხვედრა ამერიკული სტილით ჩაატარეს. თავდაპირველად მათ სცადეს მოწინააღმდეგის შეშინება ფიზიკურად, მაგრამ ამაოდ... მაშინ მსაჯმა (ავსტრალიელმა) მინდვრიდან გააძევა ორი საუკეთესო ფრანგი მოთამაშე — ოდობერა და დელასი. მესამე ფრანგი კაიუ თვითონ ავსტრალიელმა მოთამაშეებმა „გააგდეს" (თავი გაუტეხეს).

შეხვედრა დამთავრდა გრანდიოზული ცემა-ტყეპით, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს მაყურებლებმა.

„დამარცხებული" ფრანგების გუნდს აღარ დასჭირდება ამერიკის შეერთებულ შტატებში ტურნეს მოწყობა,— ამერიკაში ისინი ვერაფერ ახალს ვერ ნახავენ.

### „მორწმუნე" სპორტსმენი

„იუნაიტედ პრესის" სააგენტო (აშშ) ხოტბას ასხამს უაინს ფოსტერს — მორწმუნე მოკრივეს. ეს სპორტსმენი, როგორც სააგენტო იუწყება, „ღმერთის დახმარებით მიდის გამარჯვებიდან გამარჯვებამდე"; იგი გმობს ალკოჰოლს და ყოველგვარ გართობასო.

ამას წინათ შვეიცარიულ გაზეთ „სპორტში" გამოქვეყნდა ცნობა იმ... შესახებ, რომ უაინს ფოსტერი ს... ჯოხეთში დააპატიმრეს, როდესა... იგი ძალადობას მიმართავდა... ქალ... მიმართ.

### „წმინდა მამის" კურთხევა

ფრანკ სექსტონი ამერიკაში ცნობი... ლი სპორტსმენია. მან მოიპოვა მსოფ... ლიოს ჩემპიონის ტიტული კეჩ... (თავისუფალი ჭიდაობის მხეცური სა... ხეა). ამას წინათ სექსტონი ფრანგ რო... გულთან შეხვედრამდე რომში გაე... გზავრა, რათა კურთხევა მიეღო „წმინ... და მამისაგან".

საინტერესოა, რა უკურთხა „წმინდ... მამამ" კეჩის ჩემპიონს? მხეცური ს... ნახაობა, დასახიჩრება, თუ სიველუ... რე?

### შიმშილობის რეკორდი

მაბინდრაჰ ბურმახმა, რომელიც ... ვის თავს ინდოელ ფაკირს უწოდებ... ცადა მსოფლიო რეკორდის გაუმჯო... ბესება შიმშილში. „სასპარეზოდ" მა... აირჩია რომი და, აი ერთ დღეს ბურ... მახი ჩაწვა შუშის სარკოფაგში რამ... დენიმე გველის თანხლებით.

ასეთ მდგომარეობაში მან დაჰყ... 60 დღე, 2 საათი და 15 წუთი. ... ხნის განმავლობაში „რეკორდსმენი" სვამდა მხოლოდ წყალს და ეწეოდა სი... გარას. რეკორდის დამყარების შე... დეგ „სპორტსმენმა" დიდი გასამრჯე... ლო მიიღო.

## საქართველოს გუნდი — მეორე ადგილზე

**ხარკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.).** აქ გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი სკოლების სამინისტროს და სპორტსაზოგადოება „ნაუკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა კალათბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდა ვაჟთა 12 და ქალთა 9 გუნდი.

მონაწილეთა შორის იყო „ნაუკის" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ქალთა გუნდი.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში, საზეიმო ვითარებაში, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტისა და ლენინგრადის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის გუნდების კაპიტნებმა აწიეს „ნაუკის" ცენტრალური საბჭოს VI პირველობის ალამი.

საინტერესო ბრძოლები გაჩაღდა ქვეჯგუფებში ფინალში მოსახვედრად. საქართველოს კალათბურთელ ქალთა გუნდმა მატჩი ლენინგრადის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის წინააღმდეგ თავბრუდამხვევი ტემპით დაიწყო. მე-5 წუთზე ანგარიში უკვე 9:0 იყო მათ სასარგებლოდ, მე-10 წუთზე კი 19:5. თბილისელები კიდევ უფრო აძლიერებენ ტემპს, მაგრამ სიჩქარეში ხშირად კარგავენ ბურთს, რაც მოწინააღმდეგეს თამაშის გათანაბრების საშუალებას აძლევს.

პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 24:23 თბილისელთა გამარჯვებით.

თამაშის მეორე ნახევარში უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა. მსაჯის საფინალო სასტვენი... 40:37 — ქართველ კალათბურთელთა სასარგებლოდ.

ამ გამარჯვებით საქართველოს წარმომადგენლებმა I-II ადგილისათვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს.

ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონის — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ქალთა გუნდისა და საქართველოს კალათბურთელთა შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა პირველი ადგილის ბედი. ეს მატჩი თბილისელებმა უფერულად ჩაატარეს და დამარცხება განიცადეს.

ვაჟთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა ლენინგრადის კოლექტივმა.

**ე. აბაიშვილი,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## არდადეგების დღეებში

საინტერესოდ გაატარეს ზამთრის არდადეგები საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტსმენებმა.

ორი კვირის განმავლობაში ინსტიტუტის საუკეთესო ტანმოვარჯიშეები საწვრთნელ შეკრებას გადიოდნენ.

ფრენბურთელებმა რამდენიმე ამხანაგური თამაში გამართეს უნივერსიტეტის სპორტსმენებთან. შეხვედრები ალინიშნა ინსტიტუტელთა გამარჯვებით. ინსტიტუტის სტუდენტთა გამარჯვებით დამთავრდა აგრეთვე ამხანაგური მატჩი თბილისის „დინამოს" ფრენბურთელთა გუნდთან.

ფიზაღზრდის კათედრამ მოაწყო ლექცია-გასაუბრებები ი. ბ. სტალინის ნაშრომის „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ" და საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის გარშემო. მოეწყო ინსტიტუტის სპორტსმენთა ექსკურსიები მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში, ავლაბრის არალეგალურ სტამბაში და ი. ბ. სტალინის სამშობლოში—ქ. გორში.

**ნ. ახვლედიანი**

რედაქტორი მ. კაკაბაძე

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12; დეპეშებისათვის: თბილისი „ლელო". ტელეფონი 3-90-34.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00134